აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 14

25 სექტემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამაზ შარმანაშვილი, ქეთევან ჯიქია, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ავთანდილ ჩახვაძე, ირაკლი გვარამია და ანზორ ბაღათურია.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშნვები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება
საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში ცვლილების შეტანის შესახებ;

(მომხ. თ. შარმანაშვილი)

2. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

(მომხ. ქ. ჯიქია)

1. განკარგულება
საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში ცვლილების შეტანის შესახებ;

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისია განკარგულებით ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკს. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში ცვლილების შეტანა განხორციელებული უნდა იქნას სარჩევნო კანონმდებლობის თანახმად (ა.რ. კანონის მუხლი 53, პუნქტი პირველი). მან აღნიშნა, რომ უსკო-ს მიერ დამტკიცებლ საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის - გრაფაში არაუგვიანეს მე-2 დღისა (1 ნოემბერი, შაბათი) - მე-4 სვეტის მე-9 პუნქტი უნდა იქნეს ამოღებული და გრაფაში არაუგვიანეს მე-3 დღისა (31 ოქტომბერი, პარასკევი), მე-4 სვეტს დაემატება მე-5 პუნქტი -- უმაღლეს საბჭოს წევრობის კანდიდატს, აგრეთვე წარმდგენ პარტიას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვთ, კენჭისყრამდე არაუგვიანეს ორი დღისა, უარი თქვან არჩევნებში მონაწილეობაზე ან წარდგენილ კანდიდატურაზე, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართონ უმაღლეს საარჩევნო კომისიას. აღნიშნული ცვლილების თანახმად, უმაღლეს საბჭოს წევრობის კანდიდატს, აგრეთვე წარმდგენ პარტიას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვთ 31 ოქტომბერს 18 საათამდე უარი თქვას არჩევნებში მონაწილეობაზე ან წარდგენილ კანდიდატურაზე. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 05 სექტემბრის № 32 განკარგულებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

ა) გრაფაში არაუგვიანეს მე-3 დღისა (31 ოქტომბერი, პარასკევი), მე-4 სვეტში დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს, პარტიას/ბლოკს, უფლება აქვთ უარი თქვან არჩევნებში მონაწილეობაზე ან წარდგენილ კანდიდატზე, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართონ უმაღლეს საარჩევნო კომისიას. (აჭარის ა.რ. კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 53, პუნქტი პირველი)“;

ბ) გრაფაში არაუგვიანეს მე-2 დღისა (1 ნოემბერი, შაბათი), მე-4 სვეტის მე-9 პუნქტი ამოღებული იქნეს.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

2. **განკარგულება**
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა, ქეთევან ჯიქიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო დოკუმენტაცის სახეს. მომხსენებელმა კომისიას წარუდგინა შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით: ამომრჩეველთა ერთიან სიაში ცვლილებების შეტანის შესახებ განცხადების ფორმა, პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურების ფორმის შესახებ ოქმის ფორმა, ერთიანი სიის გამოტოვებული ამომრჩეველთა აღრიცხვის რეესტრისა და ამომრჩეველთა ერთიანი სიის შესწორებათა აღრიცხვის რეესტრის ფორმები. ისაუბრა მათი გამოყენების წესებზე და პირობებზე და განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) ამომრჩეველთა ერთიან სიაში ცვლილების შეტანის შესახებ განცხადების ფორმა;

ბ) პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის ფორმა;

გ) ერთიანი სიის გამოტოვებული ამომრჩეველთა აღრიცხვის რეესტრი (ფორმა №1-07.41.02);

დ) ამომრჩეველთა ერთიანი სიის შესწორებათა აღრიცხვის რეესტრი (ფორმა №1-07.42.02).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს აცნობა, რომ 29 და 30 სექტემბერი არის საუბნო საარჩევნო კომისიების შეკრების პირველი დღე და გამოვიდა ინიციატივით, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრები, უბნების გახსნის დღეს დაესწრონ რამოდენიმე უბნების შეკრების პირველ დღეს და თვალყური ადევნონ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა, მდივნის არჩევის პროცესს.

სხდომაზე სხვა საკითხი არ განხილულა

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია